ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3693729

ნომერი: AR1552917

თარიღი : 01.11.2017

გაცემის თარიღი : 22.11.2017

გაცნობის თარიღი : 22.11.2017

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , სოფელი დიღომი ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ბაჩანა რამიშვილი პ/ნ 01030051515
- საქართველო, ქალაქი თბილისი, გიგო ზაზიაშვილის ქუჩა, N 7

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“ და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის“ თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 2017 წლის 01 ნოემბრის AR1552917 განცხადება, რომელშიც ითხოვთ სამსახურის მიერ 2015 წლის 23 ოქტომბრის № 2258492 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილებას. პასუხად გაცნობებთ, რომ როგორც სამსახურის 2017 წლის 17 ნოემბრის №3690144 გადაწყვეტილებით გეცნობათ ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით ვერ საბუთდება ერთი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლისთვის გაცემულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში მეორე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის დაფიქსირების საჭიროება. ვინაიდან იგეგმება ახალი ობიექტის გაჩენა, შესაძლებელია განხორციელდეს ნაკვეთების თავდაპირველი კონფიგურაციით გამიჯვნა და ახალი ობიეტის განსათავსებლად ახალი მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების მოთხოვნა. არსებული მდგომარეობით სამსახურს შესაძლებლად მიაჩნია იმსჯელოს 2015 წლის 23 ოქტომბრის №2258492 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ერთი მოცულობის განთავსების მიზნით გაზრდილი საკადასტრო ერთეულის (ს/კ N01.72.14.040.684) დაფიქსირებაზე. გამომდინარე ზემოთქმულიდან სამსახურმა მიიღო გადაწყვეტილება 2017 წლის 01 ნოემბრის AR1552917 განცხადების განუხილველად დატოვების თაობაზე.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.